მოწყობილობის დანიშნულება

ჩაიდანი განკუთვნილია წყლის გასაცხელებლად საყოფაცხოვრებო პირობებში.

უსაფრთხოების ზომები

- გამოიჩინეთ სიფრთხილე ნაკეთობასთან მუშაობისას დამწვრობის თავიდან ასაცილებლად.
- ნუ აავსებთ ჩაიდანს ზედმეტად, რათა თავიდან აიცილოთ დუღილის დროს წყლის შხეფების გადმოსხმა ცხვირიდან.
- მას შემდეგ, რაც წყალი ადუღდება, გამორთეთ ქურა და დაელოდეთ 15 წამს, სანამ ჩაიდნის ცხვირს გახსნიდეთ და წყალს დაასხამდეთ.
- ცხელ ჩაიდანთან მუშაობისას ყოველთვის გამოიყენეთ დამცავი ხელთათმანი.
- თვალი ადევნეთ, რომ ჩაიდანი იმყოფებოდეს ბავშვებისთვის მიუწვდომელ ადგილას. წყლის გასაცხელებლად გამოიყენეთ ქურის შორეული კონფორები.
- ნუ დატოვებთ ჩაიდანს ქურაზე უმეთვალყურეოდ, რათა თავიდან აიცილოთ წყლის სრული დაშრობა (აორთქლება).
- არასოდეს გააცხელოთ ცარიელი ჩაიდანი — ამან შეიძლება გამოიწვიოს ხანძარი ან ნაკეთობის დაზიანება.
- არ გამოიყენოთ ნაკეთობა ხილული დაზიანების არსებობის შემთხვევაში.
- ფრთხილად მოეპყარით ნაკეთობას. ჩაიდნის მოსავლელად არ გამოიყენოთ აბრაზიული ნივთიერებები, უხეში ან ლითონის ღრუბლები, რადგან ამან შეიძლება გამოიწვიოს ზედაპირის დაზიანება.